



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### თორღვას აბანო

თორღვას აბანო, ადგილობრივი მნიშვნელობის მთის ბალნეოკლიმატური კურორტი, მდებარეობს თელავის მუნიციპალიტეტში, ცენტრიდან 50 კმ-ის დაშორებით, მდ. სტორის ხეობაში, კავკასიონის სამხრ. ფერდობზე, ზ. დ. 1800 მ სიმაღლეზე.

ტერიტ. წინვანი ტყით არის დაფარული. კლიმატი ხასიათდება ზომიერად რბილი ზამთრით (იანვ. საშ. ტემპ-რა  $-5^{\circ}\text{C}$ ) და ზომიერად თბილი ზაფხულით (აგვ. საშ. ტემპ-რა  $14,8^{\circ}$ ). ნალექების წლიური რაოდენობა 1400 მმ.

კურორტზე არის თერმული მინერ. წყალი, ქიმ. შედგენილობით სუსტად სულფიდური, ქლორიდულ-კარბონატულ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი, რ-შიც გოგირდწყალბადის გარდა შედის კაჟის მჟავაც. მინერალიზაცია 0,4-0,6 გ/ლ. ტემპ-რა  $34-37^{\circ}\text{C}$ .

წყალს იყენებენ საყრდენ-მამოძრავებელი ორგანოებისა და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებათა სამკურნალოდ.

---